

PISA 2022 საქართველოს შედეგები

საქართველომ შეფასებაში მონაწილეობა პირველად 2009 წელს მიიღო, ხოლო შემდეგი შეფასებები 2015, 2018 და 2022 წლებში ჩატარდა. PISA-ს კვლევას საქართველოში შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი ატარებს.

PISA 2022-ის მონაცემებით საქართველოს 15 წლის მოსწავლეების მიღწევები მათემატიკაში, კითხვასა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში სტატისტიკურად მნიშვნელოვნად არ შეცვლილა 2018 წელთან შედარებით.

PISA 2022-ში მონაწილე ქვეყნების უმრავლესობაში მოსწავლეთა მიღწევები გაუარესდა შეფასების სამივე სფეროში. საქართველოს 15 წლის მოსწავლეების მიღწევები 2018 წელთან მიმართებით სტატისტიკურად არსებითად არ შეცვლილა მათემატიკაში, კითხვასა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში.

PISA 2022-ის მიხედვით, საქართველოს 15 წლის მოსწავლეებს მათემატიკაში **390** (OECD-ის საშუალო 472) ქულა აქვთ, კითხვასა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში **374** (OECD-ის საშუალო 476) და **384** (OECD-ის საშუალო 485).

უნდა აღინიშნოს, რომ საშუალოდ OECD-ის ქვეყნებში 2018-2022 წლებში მათემატიკაში მიღწევების მაჩვენებლები თითქმის 15 ქულით გაუარესდა. კითხვაში 11-ქულიანი სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კლება შეინიშნება, ხოლო საბუნ. მეცნიერებებში ქულა სტატისტიკურად მნიშვნელოვნად არ შეცვლილა.

რა არის PISA?


მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამა (PISA) აფასებს 15 წლის მოსწავლეების ცოდნასა და უნარებს მათემატიკაში, კითხვასა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში.

PISA-ს კვლევის შედეგები მიხედვით შესაძლებელია გაანალიზდეს, თუ რამდენად კარგად ამზადებენ მონაწილე საგანმანათლებლო სისტემები 15 წლის ასაკის მოსწავლეებს რეალური გამოწვევებისა და მომავალი წარმატებისათვის.


PISA 2022-ში მონაწილეობდა 81 ქვეყნისა და ეკონომიკის დაახლოებით 690,000 მოსწავლე, რაც დაახლოებით 29 მილიონ 15 წლის მოზარდს წარმოადგენს.

საქართველოდან ტესტირებაში მონაწილეობა მიიღო **267 სკოლის 6,583-მა მოსწავლემ**, სკოლის დირექტორის კითხვარი შეავსო **267-მა** დირექტორმა, მასწავლებლის კითხვარი **3,202-მა** პედაგოგმა, ხოლო მშობლის კითხვარი **6,252-მა** მშობელმა/მეურვემ.



PISA 2022 წლის ტესტირების პერიოდში საქართველოში 15 წლის მოსწავლეების **76%** მე-10 კლასში ირიცხებოდა.



PISA 2022 შედეგები






შენიშვნა: სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება მუქი ლურჯითაა ნაჩვენები. ქვეყნები/ეკონომიკები დალაგებულია 2018 და 2022 წლებს შორის მათემატიკაში ქულის ცვლილების კლებადობით. წყარო: OECD, PISA 2022 Database.



განსხვავებები გენდერულ ჭრილში

საქართველოში 15 წლის ასაკის ბიჭები და გოგონები საშუალოდ მსგავს დონეზე ასრულებენ მათემატიკის დავალებებს (გოგონა - 393 ქულა, ბიჭები - 387 ქულა), მაგრამ კითხვაში გოგონები 35 ქულით სჯობნიდნენ ბიჭებს. საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში გოგონების უპირატესობა ბიჭებთან შედარებით 14 ქულაა.

ყველაზე დიდი განსხვავება გოგონების სასარგებლოდ PISA 2022-ში მონაწილე ქვეყნებში ჩილეში, იტალიასა და ავსტრიაში გვხვდება, ხოლო ბიჭების სასარგებლოდ - ალბანეთში, კვიპროსსა და პალესტინაში.



განსხვავება სკოლის ადგილმდებარეობის მიხედვით

სკოლის ადგილმდებარეობის მიხედვით, PISA 2022-ში მათემატიკის სფეროში მაღალი მოსწრებით გამოირჩეოდნენ თბილისში მცხოვრებელი მოსწავლეები (417 ქულა), შემდეგ სხვა ქალაქებისა (383 ქულა) და სოფლად მცხოვრები მოსწავლეები (369 ქულა). ყველაზე დაბალი შედეგები დაბაში მცხოვრებ მოსწავლეებს (344 ქულა) აქვთ. მსგავსი შედეგებია კითხვასა და საბუნებისმეტყველო საგნებშიც.

		2015	2018	2022
მათემატიკა	თბილისი	437	432	417
	სხვა ქალაქი	406	397	383
	დაბა	395	376	344
	სოფელი	372	363	369
კითხვა	თბილისი	440	413	402
	სხვა ქალაქი	402	379	369
	დაბა	387	352	333
	სოფელი	367	347	347
საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	თბილისი	441	412	411
	სხვა ქალაქი	409	380	379
	დაბა	402	363	340
	სოფელი	386	354	360


განსხვავებები სკოლის სტატუსის მიხედვით

		2009	2012	2015	2018	2022
მათემატიკა	საჯარო	376	m	399	391	384
	კერძო	435	m	458	450	445
კითხვა	საჯარო	371	m	397	374	369
	კერძო	435	m	452	428	426
საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საჯარო	370	m	407	377	379
	კერძო	424	m	461	427	436


სკოლის სტატუსის მიხედვით 2022 წლის მონაცემები გვიჩვენებს, რომ საქართველოს კერძო სკოლების მოსწავლეები უკეთეს შედეგებს აღწევენ შეფასების სამივე სფეროში, ვიდრე საჯარო სკოლისა. 2015-2022 წლების შედეგების მიხედვით, როგორც კერძო, ასევე საჯარო სკოლებში შეფასების სამივე სფეროში შესამჩნევია მოსწავლეების შედეგების კლების ტენდენცია.

განსხვავებები შედეგებში მათემატიკის სწავლის ენის ქრილში

2022 წელს ქართულენოვანმა და რუსულენოვანმა მოსწავლეებმა 2015 და 2018 წლებთან შედარებით სტატისტიკურად მნიშვნელოვნად ვერ გააუმჯობესეს თავიანთი შედეგები. ამ ორ ჯგუფთან შედარებით, აზერბაიჯანულენოვან მოსწავლეებს შეფასების სამივე სფეროში სტატისტიკურად მნიშვნელოვნად დაბალი შედეგები აქვთ: მათემატიკაში - 321 ქულა, კითხვაში - 297 ქულა, საბუნებისმეტყველო საგნებში კი - 307 ქულა.



საქართველოში 2018 წელთან შედარებით, სტატისტიკურად მნიშვნელოვნად გაიზარდა მოსწავლეთა სკოლისადმი მიკუთვნებულობის განცდა და ის აღარ განსხვავდება OECD-ის ქვეყნებისგან.



როგორ იყვნენ მომზადებულნი საქართველოს სკოლები კოვიდპანდემიის (Covid-19) საპასუხოდ?

საქართველოს კერძო სკოლებს შედარებით ნაკლებად ჰქონდათ დისტანციური სწავლების ადმინისტრირების პრობლემები, ასევე უფრო მზად იყვნენ ციფრული რესურსების გამოსაყენებლად სასწავლო პროცესში, ვიდრე საჯარო სკოლები. კერძო სკოლების ეს შედეგები მსგავსია OECD-ის ქვეყნების კერძო სკოლების შედეგებისა. რაც შეეხება სკოლების დისტანციურად სწავლებისათვის მზაობას პანდემიამდე და მის შემდეგ, მიუხედავად პანდემიამდე არსებული განსხვავებებისა, საქართველოს როგორც კერძო, ასევე საჯარო სკოლებმა შეძლეს პანდემიის დაწყებისთანავე დისტანციურ სასწავლო ფორმატზე ეფექტიანად გადასვლა.

